ილია და ვაჟა - XIX საუკუნის ერთი პრობლემის შესახებ

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალება:

- ყურადღებით გაეცანით ი. ჭავჭავაძის სტატიას - „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“;
- ყურადღებით გაეცანით ვაჟა-ფშაველას სტატიას - „გიკვირთ?“
- სტატიების გაცნობის შემდეგ შეასრულეთ ის დავალებები, რომლებიც სტატიების ბოლოსაა მოცემული.

აქტივობები:

1. სტატიების გეგმის შედგენა;
2. სტატიების ძირითადი იდეების გამოყოფა;
3. სტატიების შეპირისპირება.

ილია ჭავჭავაძე - ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ

ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.
ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა.
ამის გამო არც ერთი უეჭველი საბუთი არ უდევს სარჩულად არც ერთს ისტორიულ ფაქტს ჩვენის ხალხის ცხოვრებისას.
თუმცა ასე, მაგრამ არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია. უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და გაუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.
საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.
ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და

განათლების E სახლი

სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, — და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

ყოველს ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა. ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილშია. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო. ხოლო ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებთ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც გავუზიაროთ.

ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე.

სიფრთხილე რაში უნდა აღმოჩენილიყო?

ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორ-გვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს დაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა.

აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთ კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო.

ბოლოს-და-ბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისა ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც. არიან ეხლა იმისთანა კომლეულნი გლეხთა შორის, რომელთაც დაუპყრიათ სოფლის მამულები ასის,

ორასის დღისა, და რომელთაც თავისი ხიზნები ჰყავთ, ყმებზედ უარესად შეწუხებულნი. არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსასი დღის სამსოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან და საით წავიდნენ.

[1880 წ.]

ა) დაწერეთ სტატიის სტრუქტურა (გეგმა);

მასწავლებელთა საყურადღებოდ:

გთავაზობთ სტატიის სავარაუდო სტრუქტურას:

1) „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკა –
   მეფეთა ისტორია და არა ხალხის ისტორია;
   საგარეო პოლიტიკაზე ორიენტაცია;
2) ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზის ძიება;
3) საქართველოში თემური საკუთრების დახასიათება -
   სასოფლო და საკომლო საკუთრება;
4) სასოფლო საკუთრების უპირატესობა;
5) XIX საუკუნის ბოლოს ქართული სასოფლო სისტემის კრიზისი და მისი გამომწვევი მიზეზები.

ბ) ყურადღებით გაეცანით წყაროს და ჩამოწერეთ 3 მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც წყაროშია მოცემული.

მასწავლებელთა საყურადღებოდ:

გთავაზობთ სტატიაში გამოთქმულ რამდენიმე იდეას:

1) ჩვენს მატიანეებში ძირითადი აქცენტი მეფეთა მოღვაწეობაზეა გაკეთებული მაშინ, როდესაც ხალხზე, რიგით ადამიანებზე ცნობები პრაქტიკულად არ მოგვეპოვება, რაც აძნელებს საქართველოს ისტორიის შესწავლას;
2) საქართველოს გადარჩენის მიზეზი მისი სოფლის ეკონომიკურ სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ;
3) ქართული ეკონომიკა ეფუძნებოდა თემურ საკუთრებას, რომელშიც კერძო საკუთრების წილი ძალიან მცირე იყო;
4) თემურ და კერძო საკუთრებას შორის დაცული იყო ბალანსი;
5) კოლექტიურმა საკუთრებამ გადაარჩინა საქართველო განადგურებას;
6) ბატონყმობის გაუქმებამ და მიწაზე კერძო საკუთრების შემოღებამ გამოიწვია ძველი სტრუქტურის მოშლა და ქართული სოფლის კრიზისი.

სამუშაო ფურცელი N 4

ვაჟა - ფშაველა - გიკვირთ?

ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის გრძნობას, თავის თვალებს და ყურებს როდი ვენდობით; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე, რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ; მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახით: ბიჭოს, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდითო! გვიკვირს და ვოცდებით იმის გამო, რომ ცეცხლი მწვავე ყოფილა, ყინული ცივი და მგელს ცხვრის ჭამა სცოდნია. ამისთანა უბრალო ჭეშმარიტებასაც კი სხვისგანა ვსწავლობთ. ტყუილია? არ არის ასე? რომ ჩემი ნათქვამი მართალია და არა ჭორი, მოგაგონებთ ბ. საღათელიანის ნალაპარაკევს პეტერბურგში, ერთ რუსის ოჯახში და იმის გამო ჩვენს მწერლობაში აღძრულს მითქმა-მოთქმას და აყალმაყალს: უყურეთ ჩვენ ძმა-მეზობლებს გულში რა სდებიათ და ჩვენ კი არ ვიცოდითო. გიკვირთ? რად გიკვირთ?.. ნუთუ ეს ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ და თუ ვიცით, ამ ცოდნას რადა ვმალავთ? რად ვხუჭავთ განგებ თვალებს და რად არ გვინდა სინამდვილე დავინახოთ? დიაღ, არ გვინდა დავინახოთ, რადგან სინამდვილის დანახვა თვალებს გვატკენს, უსიამოვნო გრძნობებს აღგვიძრავს, მოითხოვს ჩვენგან შრომას, ხელების განძრევას... არ გვინდა, ჰო, ავადმყოფი დედის ნახვა, რადგან ეს ნახვა საზრუნავ საგანს გაგვიჩენს: უნდა მოვუაროთ ავადმყოფს, უნდა ექიმი მოვიწვიოთ, ხარჯი გავწიოთ, ვიდრე კარგად არ შეიქნება, გვერდს უნდა ვყავდეთ და სხვ. და სხვ?! ვერაფერი დედაშვილობაა!

რა საჭიროა ამგვარი ცნობების მომცემი კორესპონდენტები, რომელნიც ვითომ ერთგულობას გვიწევენ, ჩვენის მხრით მადლობის გრძნობას იწვევენ და გულში რა აქვთ, ალაჰმა უწყის, როცა ჩვენც კარგად ვხედავთ ყველაფერს, მაგრამ არ გვინდა დავინახოთ. განგებ თვალებსა ვხუჭავთ და ვემსგავსებით იმ სირაქლემას, რომელსაც მონადირე ეპარება, ის კი ნაცვლად იმისა, გაექცეს, გაერიდოს, ქვიშაში თავსა ჰყოფს, ჰმალავს, არ დავინახო ჩემი მკვლელიო.

ასი წელიწადია ჩვენ ვიყვლიფებით ჩარჩებისაგან, როგორც ბ. საღათელიანი აღიარებს, ვილანძღებით, ვხდებით დაცინვის საგნად და არ ვიცით რა ამბავია ჩვენს თავს. საიდან მომდინარეობს ჩვენზე ეს ვაება?.. ამისთვის რად გვინდა ჩვენ უცხო მოენე, რომელიც ვითომ სიკეთეს გიშვრებათ – აი თქვენზე ამას ამბობენო და გულიგულში თავადაც დაგვცინის, ცდილობს რაღაც აბლაბუდა გააბას, წყალი აამღვრიოს, და თევზები დაიჭიროს. მე, ჩუმად მრცხვენიან უცხოელის მიერ ჩემს თავზე ამისთანა ამაგის გაწევისა... ჩვენ უკეთესი დოკუმენტი გვაქვს ჩვენი საუკეთესო მამულიშვილისა (ილია ჭავჭავაძე - ქვათა-ღაღადი). საიდანაც ვისაც თვალნი არა აქვნ ხედვად, მაინც დაინახავენ ცხადად საგანს და თუნდ ყრუ იყვნენ, მაინც შეისმენენ ყველაფერს.

მაშასადამე, აქ ცოდნაზე, თუ ვინ რა აზრისა არის ჩვენზე, – ქართველებზე, ვინ რას გვიპირობს, რა ხაფანგს გვიგებენ. ლაპარაკი მეტია. ეს არამც თუ ნასწავლმა, უსწავლმა ჩვენმა ტეტიამაც კარგად იცის, მაგრამ ის ხმას არ იღებს. არ იღებს იმიტომ, რომ არ იცის ამ ქსელს როგორ დააღწიოს თავი, იმ ბარდიდან როგორ გამოძვრეს, რაშიც გაბმულია, რა გზით განითავისუფლოს თავი. დღეს, თუ გნებავთ, აი, ამაზე ვილაპარაკოთ, ვიბაასოთ, თორემ სომეხი ჩარჩი აქ არაფერს შუაშია, სომეხ ჩარჩს გარდა სხვა რომ ყოფილიყო, ჩვენი დამდურების მნახველი, ისიც ასე მოიქცეოდა, როგორც გვეპყრობიან ჩვენი ძმა-მეგობრები.

რა გავაკეთეთ ჩვენ იმ თავით ამ ნიადაგზე? ჩვენმა ინტელიგენციამ რა გზაზე დააყენა ერი? საუბედუროდ, იმას დაუწყო კეთება, რაც ჩვენ დაგვღუპავდა, რაც ჩვენს ერს ცხოვრების გზაკვალს აურევდა. ამას ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, შეგნებით განგებ არა სჩადიოდა, ხოლო

საქმე ასე გამოვიდა, ნაყოფი მათ მოღვაწეობისა ამას გვამცნებს! ერისთვის უნდა ერგოთ, მაგრამ ჰვნებდენ.
მე-40 წლებიდან ხელი შეუწყვეს, რომ ჩვენი მეგობარ-მეზობლები გაძლიერებულიყვნენ ქონებით, ხოლო ჩვენ დავკნინებულიყავით და აი როგორ: ყველა ჩვენს კომენდიანჩიკს ანტონოვიდან დაწყებულს, პოეტს თუ პუბლიცისტს ზნედ სჭირდა დაესურათებინა სომეხი მხდალად, რომ მისი ხელობა-ვაჭრობა – საზიზღრობად. ვაჭრობა ნაცვლად იმისა, რომ შაეყვარებინა ხალხისათვის, შეაზიზღეს; ამისათვის არც ბევრი ტყვიაწამალი იყო საჭირო, რადგან რაინდული ხასიათის ქართველს ბუნებრივად არა აქვს მიდრეკილება ვაჭრობისაკენ, მით უმეტეს, რომ ამ ვაჭრობის სინონიმად გახდეს მხდალობა.
თამაშობდნენ სცენაზე იმისთანა პიესებს, სადაც სომეხი იყო გამოყვანილი, როგორც მატყუარა, მშიშარა. ვიცინოდით, ვხითხითებდით და დღეს კი ვსტირით. ყველაზე პოპულარული პიესა იმ დროს იყო „ძუნწი“. ამ პიესებს ესწრებოდა ჩვენი სოფლის ბელადი თავადაზნაურობა, რომლის ბედოვლათობას, დარდიმანდობას ამგვარმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო. მაშასადამე, იმთავითვე ჩვენ თვალებს ვხუჭავდით სინამდვილეზე. არ გვინდოდა დაგვენახა იგი, ღრმად ჩავკვირებოდით საგანს.
აკაკიმ 80 წლებში დაწერა ერთი ლექსი ცოტა სხვა სუნისა და ყაიდისა: „ვაჭარო, მაგ შენ აბაზში სისხლი და ოფლი ჩემია, რატომ არა გაქვს ღვთის შიში, ან კაცის არაგრცხვენიანო?“ დაამთავრა ეს ლექსი შემდეგი სიტყვებით: „სისხლმეტი ხომ არ გაწუხებს, ხომ არ თხოულობ დალაქსაო?“. თვით ეს ლექსიც ვაჭარს და ვაჭრობას საძაგელ ხელობად გვიხატავს და მისი მოტივი განსხვავდება ძველი მოტივისაგან მხოლოდ იმით, რომ ნაცვლად იმისა, ეჩვენებინა კულტურული საშუალება ბრძოლისა, თუნდ ეთქვა მაგალითად – დადეგ, თორემ მეც სასწორ-ჩარექს და არშინს ავიღებო, ბაშიბუზუკური მუქარა, ჯავრის ამოყრა დასახა საშუალებად, ხსნად ჭირისაგან, რაიც წართმეულს ვერ დაგვიბრუნებს, მხოლოდ გაგვაბრაზებს, სისხლს გაგვიფუჭებს.
დიაღ, მაშინდელმა ინტელიგენციამ ვერ მოუარა თავის ერს, როგორც მისი სარგებლობა მოითხოვდა (ან კი როდის მოვუარეთ?), ვერ დააყენა საქმე ისე, როგორც გამოსადეგი იყო ჩვენთვის.
ეხლა ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გამოიყვანოს იგი ამ ეკლიან ბარდიდან? – რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილებულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდეგისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორე გზა ცხოვრებისა. ესწავლებინა თავის თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს ააღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ: თავადაზნაურობა უცხოელებზე ჰყიდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელების“ ნაღალურს უგდებს ხელში ჩარჩებს... ჩვენ კი ვუცდით გარედან მუჯლუგუნს, კისერში კისტებს. უცხო, გარეშე კაცის ატეხილს განგაშს: „ადე, ძმობილო, ადექი, გაიღვიძე, რა დაგმართნია, ჰხედავ რა ამბავია შენს თავსა, რამ დაგაჩლუნგა, რამ დაგაოჩნა“?! მანამდე კი უნდა გულზე ხელები დავიკრიფოთ, მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და იღბალს... გიკვირთ? მე არ მიკვირს.

1909

განათლების E სახლი

დავალება:

ა) დაწერეთ სტატიის სტრუქტურა (გეგმა);

მასწავლებელთა საყურადღებოდ:

გთავაზობთ სტატიის სავარაუდო სტრუქტურას:

1) ქართველი ხალხის ერთი ცუდი თვისების შესახებ;
2) ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა;
3) ჩარჩები და ქართული საზოგადოება;
4) ინტელიგენციის როლი ვაჭრებისა და ვაჭრობისადმი ქართველთა ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში;
5) გამოსავლის ძიება.

ბ) ყურადღებით გაეცანით წყაროს და ჩამოწერეთ 3 მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც წყაროშია მოცემული;

მასწავლებელთა საყურადღებოდ:

გთავაზობთ სტატიაში გამოთქმულ რამდენიმე იდეას:

1) ჩვენი ავბედობის სათავე, ხშირად ჩვენივე წამხედური ხასიათიდან მომდინარეობს;
2) ჩვენი საზოგადოების დაჩაჩანაკების მიზეზი ჩვენ მიერ სიახლის მიუღებლობასა და კონსერვატიზმში უნდა ვეძებოთ. ქართველმა საზოგადოებამ ვერ დაინახა, რომ ცივილიზაციის განვითარება სწორედ კომერციასა და ვაჭრობაზე დგას;
3) ასეთმა მენტალობამ მიგვიყვანა ეკონომიკურ სიდუხჭირემდე და ქართული მიწების უცხოელთა ხელში გადასვლა გამოიწვია;
4) ამგვარი სიტუაციის ჩამოყალიბებას ყველაზე მეტად ჩვენმა ინტელიგენციამ შეუწყო ხელი;
5) ვაჟა-ფშაველა გამოსავალს ეროვნული კომერციის განვითარებაში ხედავს.

საშინაო დავალება:

- კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ სტატიები.
- იმსჯელეთ, რა მიმართება შეიძლება არსებობდეს ილიას და ვაჟას სტატიებს შორის.
- გამართეთ დისკუსია და შეაფასეთ სტატიები.

მასწავლებელთა საყურადღებოდ:

გთავაზობთ მოსაზრებას ამ ორი სტატიის ურთიერთმიმართების შესახებ.

ილიას სტატია ეხება საქართველოს სოფლებში თემური სისტემის არსებობას. ილია თვლის, რომ სწორედ ამგვარმა სისტემამ გახადა შესაძლებელი ქართველთა გადარჩენა და დღევანდელ

დღემდე „თავის მოტანა“. თუმცა, როდესაც XIX საუკუნეში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, ჩვენში საბაზრო ეკონომიკა დამკვიდრდა და ფეხი მოიკიდა მიწის ყიდვა-გაყიდვამ, საფუძველი გამოეცალა თემურ სისტემას, რომლის დროსაც მიწების ყიდვა-გაყიდვა წარმოუდგენელი იყო. ვაჟას აზრით, ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა იმ ახალი რეალობის შეფასება და თავის სასარგებლოდ გამოყენება, რომელიც ახალმა დრომ მოიტანა. ჩვენი ინტელიგენცია ჯერაც ფსევდო ფეოდალური მენტალობის მატარებლად გვევლინებოდა („თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ“). სწორედ ამიტომ იყო გაბატონებული ნეგატიური დამოკიდებულება ვაჭრების, ვაჭრობისა და კომერციის მიმართ. ვაჟას აზრით, იმის მაგიერ, რომ ჩვენს მოწინავე საზოგადოებას სწორად აეხსნა ქართველი ერისთვის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა კომერციის განვითარებას, მან ამ სიახლის მიმართ მხოლოდ ქილიკი და დაცინვა გაიმეტა. ქართველი ინტელიგენციის ამგვარი დამოკიდებულების მაჩვენებლად სტატიაში მოყვანილია მწერლობასა თუ პუბლიცისტიკაში არსებული განწყობა; მაგ.: აკ. წერეთლის ლექსი, სპექტაკლი „ძუნწი“.

ვაჟას დასკვნა ასეთია: ის, რაც ხდება ჩვენს თავს მხოლოდ ჩვენივე ბრალია და ნამდვილად არ ღირს სხვისი დადანაშაულება.

მონაწილეებს შეიძლება სხვა აზრიც ჰქონდეთ. ყველა ლოგიკური პასუხი მისაღებია.